შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000012

14/01/2026

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმა შემუშავებული იყო კოლეჯში მიმდინარე ძირითადი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების სისტემური მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. სამოქმედო გეგმა ეფუძნებოდა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს და მოიცავდა ოთხ ძირითად სტრატეგიულ მიზანს, რომელთა ფარგლებში განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები და აქტივობები.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 2025 წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა კოლეჯის ყველა ძირითადი პროცესის შეფასებასა და მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფდა გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიღებას, პროცესების გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას. თითოეული აქტივობის შესრულება დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით და წარმოდგენილია კოლეჯის ხელმძღვანელობისთვის.

I მიზანი – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

პირველი და ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო პროცესის მრავალმხრივი მონიტორინგი და შეფასება.
აქტივობების ფარგლებში ჩატარდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, როგორც 2024 წლის, ისე 2025 წლის მიღებების ჭრილში. კვლევები ხორციელდებოდა რეგულარულად სასწავლო წლის ფარგლებში.
განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესის მონიტორინგი, მათ შორის შემოწმდა ვალიდაციების დროულად განხორციელება. ასევე ჩატარდა ვერიფიკაციის პროცესი, რომლის მიზანი იყო შეფასების სისტემის ვალიდურობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის შეფასება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში შემოწმდა სტუდენტთა ნამუშევრები, უწყისები და შეფასებული შედეგები, რის საფუძველზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები როგორც შეფასების პროცესის, ისე შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკვირდებოდა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების პროცესებს, რის შედეგადაც მომზადდა შესაბამისი ანგარიშები.

იმავე მიზნის ფარგლებში მიმდინარეობდა საწარმოო პრაქტიკის მონიტორინგი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან თანამშრომლობით. განხორციელდა პრაქტიკის ობიექტებზე ყოველთვიური ვიზიტები, შეფასდა პრაქტიკის მიმდინარეობა, სტუდენტთა სწრებადობა და პრაქტიკის დღიურების წარმოების პროცესი. თითოეული მონიტორინგის შედეგი ასახული იყო ყოველთვიურ ანგარიშებში, რომლებიც წარედგინებოდა კოლეჯის ხელმძღვანელობას.
ასევე განხორციელდა ახალი მიღების პროცესების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილიყო მიღების პროცედურების დადგენილი წესების შესაბამისად განხორციელება.

II მიზანი – პერსონალის განვითარება და საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება

მეორე მიზანი მოიცავდა პერსონალის განვითარების ხელშეწყობასა და მათი საქმიანობის შეფასების სისტემის განვითარებას. აღნიშნული მიზნის ფარგლებში განისაზღვრა ორი ძირითადი ამოცანა.
პირველი ამოცანის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების თვითშეფასების პროცესი ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ჩართულობით და მომზადდა შესაბამისი ანალიტიკური ანგარიში. ანალოგიური პროცესი განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის მიმართაც, იგივე მეთოდოლოგიის გამოყენებით.
ჩატარდა მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევები მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობასა და საკმარისობასთან დაკავშირებით. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე დაიგეგმა და განხორციელდა ტრენინგები, მათ შორის ტრენინგი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თემატიკაზე. აღნიშნულის გარდა, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ ორგანიზებული იყო სხვა პროფესიული განვითარების აქტივობებიც.ამ ნაწილში გადადებული იქნა მხოლოდ ერთი აქტივობა ეიჩარის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება უნდა განხორციელებულიყო დეკემბრის თვეში, მაგრამ ტექნიკური ხარვეზების გამო გადატანილ იქნა დეკემბერში.
მეორე ამოცანის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის შეფასების პროცესი, რომელსაც ახორციელებდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა შეფასების ანგარიშები და წარედგინა კოლეჯის ხელმძღვანელობას. გარდა ამისა პროფესიულ მასწავლებლებს თავიათი შეფასებები ინდივიდუალურად გაეცნოთ.

III მიზანი – სტუდენტთა კორპუსის მართვა და მხარდაჭერა

მესამე მიზანი უკავშირდებოდა სტუდენტთა კორპუსის მართვას, კერძოდ კი სტუდენტთა პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარებას.
აღნიშნული მიზნის ფარგლებში განხორციელდა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა პროფორიენტაციის სერვისებთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე მონიტორინგს უწევდა პროფორიენტაციის სამსახურის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს.
გარდა ამისა, ჩატარდა კურსდამთავრებულთა კვლევები როგორც პროგრამის ხარისხის, ისე დასაქმების მდგომარეობის შეფასების მიზნით. მიღებული შედეგები დამუშავებულ იქნა და შესაბამისი ანგარიშები განთავსდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და წარედგინა კოლეჯის ხელმძღვანელობას.

IV მიზანი – მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების მართვა

მეოთხე მიზანი ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან მართვას. ამ მიმართულებით განხორციელდა სტუდენტთა, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევები მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით.
კვლევების შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები და შესაბამისი ანგარიშები, რომლებიც გაეცნო კოლეჯის ხელმძღვანელობას.
ასევე ხორციელდებოდა კოლეჯის სოციალური ქსელებისა და ვებგვერდის მონიტორინგი სამ თვეში ერთხელ. მონიტორინგის ფარგლებში შეფასდა სიახლეების განთავსების სიხშირე, მომხმარებელთა შეკითხვებზე რეაგირების ხარისხი და ინფორმაციის დროულად მიწოდება.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული კოლეჯის სასწავლო პორტალის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მთელი წლის განმავლობაში. მონიტორინგის გზით ფასდებოდა პორტალის ფუნქციონალის განვითარება და სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გაუმჯობესება. აღნიშნული საქმიანობის შედეგები რეგულარულად აისახებოდა ანგარიშებში.
ამავე მიზნის ფარგლებში მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო რესურსების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. რესურსების ნაკლებობის საჭიროება არ დაფიქსირებულა, თუმცა დაკვირვება და შეფასება რეგულარულად ხორციელდებოდა და შესაბამისი ანგარიშები წარდგენილი იყო ხელმძღვანელობისთვის.

დასკვნა

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2025 წლის განმავლობაში სრულად და სისტემურად განახორციელა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ოთხივე სტრატეგიული მიზანი და მათთან დაკავშირებული ამოცანები. განხორციელებული აქტივობები მოიცავდა კოლეჯის ყველა ძირითად პროცესს და ეფუძნებოდა მონიტორინგის, შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების გაცემის პრინციპს.
სამოქმედო გეგმის შესრულებამ ხელი შეუწყო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას, პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემების გაძლიერებასა და მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან მართვას. მიღებული შედეგები და რეკომენდაციები წარმოადგენს მყარ საფუძველს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის.

შპს კოლეჯი მერიდიანი
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ღოღობერიძე ლანა